


კვირა, 21 ოქტომბერი, 1901 წ.

კვირა, 21 ოქტომბერი, 1901 წ.

გ ა ზ ი თ ი ღ ი რ ს :

თვი	საბ. კ.	თვე	მან. კ.
12.	10	6	6
11.	9 50	5	5 50
10.	8 75	4	4 75
9.	8	3	3 50
8.	7 25	2	2 75
7.	6 50	1	1 50

ი ვ ე რ ი ა



რედაქცია გიორგიძის ქუჩა, 21
 ნიკოლოზის ქუჩა, 21
 ტფილისი.
 გაზეთის დასაბამად
 და განცხადებათა დასაბამად
 უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
 გამაგრ. საზოგადოების კანცელიარიის.
ფასი განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
 16 კაპ., მეორეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

22 ოქტომბერს წლის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი განსვენებულის
ელენა დავითის ასულის შურდანიას (ტარსანიძის ასულის)
 სულის მოსახსენებლად ტფილისში, ქვაშვეთის ეკლესიაში, ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ტაძარში და სოფელს ბერშოეთში ადგილობრივს ეკლესიაში, რასაც მამა განსვენებულია, პოლკოვნიკი **დავით ტარსანიძე**, ქვრივი ქმარი **თეოდორე შურდანი** და **ქანი მისნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა.
 (1-227-1)

ოქტომბერს, 22 ოქტომბერს,
ალექსანდრე ივანეს ძის გაქრამის
 გარდაცვალების წლის თავზედ, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და შემდეგ მოხდება კურთხევა ძველისა პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. წირვა დაიწყება 9 1/2 საათზედ.
 (-226-1)

ქართული თეატრი
 კვირას, 21 ოქტომბერს 1901 წ.
 ქართულის დრამატიკული საზოგადოების დასის მიერ
 წარმოდგენილი იქნება
 პირველად ახალი პიესა

უსოლოთა კლუბი
 კომ. 3 მოქმედებად თხზ. ბალუცკისა, თარგ. დ. მესხისა.
კ უ ნ ვ ი
 კომ. 2 მოქმედებად, გ. ერისთავისა.
 მანაწილეობას იღებენ: ქ ნ ნი ჩერქეზიშვილი, კარგარელი, მდივანი, აფხაზი-მეილი და გივიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, აწყურელი, გედევანოვი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.
 შემდეგი წარმოდგენა 25 ოქტომბერს; მზადდება „ვენეციელი ვაჟარი“ კომ. შექსპირისა. (3-6-3)

პირველი კერძო სამკურნალო
ვაიძის ნავასარდიანისა
 სუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
 ვაიმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
ღ ი ლ ა ო ზ ი თ :
 ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. ადოსტაქრო, ვენერული (სიფილი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
 შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულენი: თვალისა, შინაგანი და გრძობისა.
 ზ. ი. ბაბანასიანი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
 პ. ი. შამლიშვილი. 12—1 საათ. ურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
 პ. პ. აბაშვიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ლ ა მ ო ზ ი თ :
 ნ. ნ. როსტომიანი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
 ა. ნ. შაპკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.
 ბ. ა. თარსანიძე. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.
 ს. ბ. არვანიძე. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მას-საეს“, აუტრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნით.
 ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
 დირექტორი სამკურნალო დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
 Первая частная лечебница—д-ра Навасардиана. Тифлиси, противъ памят. Воронцову.

ქართულთა შორის წარაკითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის ოქტომბრის 28 დღეს, დილის თერთმეტ საათზე, სათავად-ანაურო ბანკის დარბაზში დანიშნულა საზოგადოების წევრთა წლიური **საზოგადოებრივი**.
განსახილველია შემდეგი საკანები
 1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1900 წლის მოქმედებისა, 2) მოხსენება სარევიზო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ, 3) საგარეულო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისათვის, 4) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა, 5) არჩევანი სარევიზო კომისიის წევრთა და 6) არჩევანი საზოგადოების თავჯდომარისა და გამგეობის წევრთა.
 (5-უ-4)

ტფილისის კერძო სამკურნალო
 ევანგელის კრაოტები (ერთი უფასო).
მიხეილ გედევანიშვილისა.
 ვ. კ. ა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი აგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
 ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
ღ ი ლ ი თ :
 3. ი. შინაგანი—კბილის სნეულენი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა გლექტრონი, 9—10 საათ.
 პ. გ. შამლიშვილი. შინაგანი და ბავშვებისა. 9—10 ს.
 ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგანი; სამშობლოთ და ხუთშობლოთ, 10—11 საათ.
 ნ. ა. მუსხიანი—ყურისა, ყელი-სა და ცხვირისა—10—11 საათ.
 ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულენი. 10—12 საათ.
 ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.
ვაიძი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.
 დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
 ა. გ. ბარსუკი—დედათა სნეულენი, ორშობლოთ, ოთხშობლოთ და პარასკეობით 12—1 საათ.
 ს. ა. ვოინოვი—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშობლოთა და შობლოთით—1—2 საათ.
 ი. დ. ბავთაშვილი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2 ს.
ს ა ლ ა მ ო ზ ი თ :
 ი. ნ. თუშანიშვილი—დედათა სნეულენი. 5—6 საათ.

ქ ვ ი რ ა ო ზ ი თ :
 ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგანი ავადმყოფობათა.
 სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
 ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართულთა ქალთა ახსანაგოვის
 სამკურნალო და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკმარავს**: კაპებს, თეთრფულს, ქარგვას და სხვადასხვად ამოაკეთებენ ნიშნებს (MENSUR). ბარონის ქუჩა, № 12.
 (10-უ-8)

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი
 იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (5.)

ახალი ამბავი
 * * * დღეს, 21 ოქტომბერს, მისის იმპერატორებთან უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ ასვლის დღეს, აღექვანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში საქართველოს ექსარხოსის მიერ წირვის შემდეგ სამადლობელი პარაკლის იქნება გარდახდილი. წირვა დილის 10 საათზედ დაიწყება. სამხედრო ტანისამოსი სადღესასწაულო უნდა ეცვათ.
 * * * დღეს, 21 ოქტომბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენა დანიშნული. ქართული დასი წარმოდგენს ახალს პიესას „უსოლოთა კლუბს“ და „ძუნწს“.
 * * * როგორც უმართებელსი სენატი განმარტავს, ქალაქის თვით მმართველობას ნება თურმე არა აქვს სახლების ამშენებელთა მოქალაქეებრივ უფლებათა განხილვის შეუდგეს, როდესაც უნობის პროექტს წარუდგენენ ხოლმე.
 * * * საგუბერნიო სააღმშენებლო განყოფილებათა შტატებისათვის ახალი პროექტი შეუმუშავებიათ.
 * * * როგორც „Тифлис. Л.“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან დეპუტატთა, მთავარ-მართებლის კანცელარიაში საუცხოეთო მიწერ მოწერის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად შინაგანი საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტიდან ბ-ნი ელზინკერი დაუნიშნიათ, ხოლო ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად კოსტრომის ოლქის სასამართლოს ბრალდებულის ამხანაგი ბ-ნი როლზევიჩი.
 * * * გამოფენის გახსნიდან 18

ოქტომბრამე კავკასიის გამოფენაზედ დღისით 119,269 კაცი ყოფილა სანახავად, ამათგან 4,495 უფასო, ხოლო ღამით 20,900 კაცი და ამათგან უფასო 8,856.
 * * * ავქალის ქუჩის სახლობო წარმოდგენებისა და კითხვების აუდიტორიაში დღეს, 21 ოქტომბერს, სახლობო კონცერტია დანიშნული. კონცერტზედ იმღერებს დასი სიმღერის მოყვარულთა ზ. ი. ფალიაშვილის ლობტარობით და საოპერო მგალობელი ქალი ო. დ. ბოტანოვსკაია (მეცო სოპრანო), რომელიც ამ ღამად ტფილისში იმყოფება.
 * * * ამ რამდენიმე ხნის წინად უმაღლესმა მთავრობამ მიწად-მოქმედების სამინისტროს ნება დართო საზღვარ გარეთიდგან გამოიწეროს და უბაჟოდ რუსეთში შემოიტანოს სხვადასხვა მანქანები და იარაღები, რომელნიც-კი მეუნებობაში საქირონი არიან. სამინისტრომ მიპმართა რუსეთის ყველა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ წინადადებით, რომ წარუდგინოს სამინისტროს სია ყველა იმ იარაღებისა, რომლებიც ამა თუ იმ კუთხისათვის მეურნეობაში სახმარებლად საქირონი არიან. 17 ოქტომბერს სხდომაზედ კავკასიის მეღვივ-მევენახეთა სხდომამ გარდასწყვიტა, სხვათა შორის, ამ სიაში შეიტანოს სეტყვასთან საბრძოლო ზარბაზანი—მორტირ-გულშინ-წინ, 19 ოქტომბრის სხდომაზედ, მეღვივეთა და მევენახეთა კრებამ ამოირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს სია მეღვივეთაში გამოსადგე იარაღებისა და განსახილველად კრებას ამ დღეებში წარუდგინოს.
 * * * ორშაბათს, 23 ოქტომბრის ქალაქის საბჭოს სხდომაზედ განსახილველად დანიშნულია სულ 19 საქმე, რომლებიც წარსულს ორშაბათს უნდა განეხილა.
 * * * პარასკევს, 19 ოქტომბრის სხდომაზედ, მეღვივ-მევენახეებმა განიხილეს მოხსენებანი: ბ-ნის ვ. რუხილასი და ღვინის წარმოებისა და მევენახეობის საქმის გაუმჯობესებისა ჩვენში და სინდიკატებისა და ამხანაგობათა დაარსების შესახებ; ბ-ნის ლეონტოვიჩისა იმის შესახებ, რომ მიღებულ იქმნეს რაიმე საშუალებანი კავკასიის ღვინის ბაზარში ადგილად გასატანად; მოხსენებანი ბ-ნის პ. ყიფიანისა და აგრონომის ტიმოფეევისა, რომლებიც ასახელებდნენ, რა და რა საშუალებით შეიძლება გაუმჯობესდეს ჩვენში ღვინის წარმოების საქმე და რა რიგად დააიფოს ღვინის ბაზარი რუსეთში. კრებამ მთელი საღამო ამ მოხსენებათა განხილვის მოანდომა და კარგა ხნის კამათის შემდეგ ზოგიერთა ცვლილებით დაამტკიცა წინადადება ბ-ნი ტიმოფეევისა და პ. ყიფიანისა.
 * * * საუფლისწულო უწყებამ ქ.

ლიონში (საფრანგეთში) 2 ნოემბრის დანიშნულ მღვდინეთა და მღვდნახეთა კონგრესზედ დასასწრებლად გაგზავნა ამ უწყების ტფილისის სარდაფის გამგე ბ. ნ. გ. ი. გოგოლიანოვსკი; კონგრესზედ უნდა განიხილონ თურმე, რომდენად გამოასდგვია ახლანდელი სისტემა სეტყვასთან ბრძოლისა ბროგორ გაუმჯობესონ ეს საშუალება, რომ აზრს მიადწიონ.

* * * ორშაბათს, 22 ოქტომბერი, ბუქიევის სახლში, პუშკინის სახელობაზედ ახლად დაარსებულს ქალაქის სკოლას აკურთხებენ; კურთხევას დაესწრებიან ქალაქის გამგეობის წარმომადგენელი და ქალაქის საკოს ხმონები.

* * * 19 ოქტომბრის სხდომაზედ დაადგინეს კავკასიის მღვდინ-მღვდნახეობა შუამდგომლობა აღსძრან სათანადო მთავრობის წინაშე, რომ კავკასიიდან რკინის გზით ღვინის გადაზიდვის საქმე გაუმჯობესებული იქნეს და ზამთარში თბილი ვაგონები იქნეს დანიშნული ღვინის გასაზიდად; ამასთანავე ნება მიეცეთ მღვდინებს ეხლანდელის ტარიფით ჩქარი მატარებლებით შეეძლოთ ღვინის გაზიდვა რუსეთში.

დაბატ სოფელი

რამა. ხშირად გვისაყვებდნენ რაქიდგან, სკოლები არა გვაქვს. მიზეზი ამისი, ყველას კარგად მოგეხსენებათ, ის გახლავა, რომ რაქ ერთი მიგდებული და ყოვლის მხრით მიუდგომელი კუთხეა; არის ერთი გზატკეცილი ქუთაისიდან ლეჩხუმზედ და ისიც იქამდის უფარგისია,

ველეტონი

სახელის მაჟიმავალი.

ახლავადა კცი, გახუნებულ და სიმტკიცე შებღალულ ჩოხაში გამოწყობილი, ტარ-მუჭში შელანძლულ ხმალ-სატევრით აღჭურვილი და პატარა ჯოჯოხედ ამხედრებულ, სოფლის შარას ადგა. დინჯი იყო პირუტყვის ტარება და ამაყი მხედრის შეხედულება: ისე მედიდურათ ეჭირა ყურებამდის ბოხონ-ჩამოფხატული თავი წვრილად აწოწვილს ჭანზედ, რომ ხაშს კაცს ეგონებოდა, —სამშობლოს დასახსნელად მიდისო.

გზა ჯვარდინაზედ ნაცნობი შემოჰხვდა.

ეს მალალს, ძვალ-ტყავათ გადაქცეულსა და ფერდი-ფერდს მიკრულს ჯახრიკაზედ იჯდა: გაცვეთილს პალტოში გამოხვეულს, თავზედ სანახევროთ დაფლეთილი ქილობის ქედით, საპირე გაბზარულ ჩექმის წვერი ძლივს ედგა დაზიანებულსა და მრავალგან დაკერებულ მოსართავზე ჩამოცმულს უზანგოში. ჩვეულებრივის მისალმების შემდეგ პალტოიანი გამოხეუბრა ჩოხიანს:

—რაა, გიორგი, მგა? ვირია, თუ ჯორი, ზედ რომ ზიხარ?

—ჩურჩუტისთვის ვირია და კაცითვის ჯორი!..

რომ თუ ამ გზით გნებავთ მგზავრობა, ჯერ მღვდელს უნდა განდლოთ და აღსარება უთქრათ, თორემ ვინ იცის, გზიდგან შინ მშვიდობით მისვლა ძალიან ძნელია! ერთი საურმე გზაც ნაქერალას მთაზედ გადადის, რომელიც ტყიბულაში ჩაიყნანს კაცს, მაგრამ ხშირად დეკემბრიდან მოკიდებული აპრილამდე შეკრულია იგი თოვლისა და დიდი ზევევის გამო. ექვი არ არის, ამისთანა უგზო ქვეყანაში, როგორც ჩვენი რაქაა, მდიდარიც რომ იყოს კაცი, მაშინაც ძალიან გაუძნელდებოდა სხვა ქალაქებში შეილის წაყვან-წამოყვანა სასწავლებელში. ამიტომაც რაქა საქართველოს სხვა კუთხეებს სწავლა-განათლებით დიდად ჩამორჩენილია.

მაგრამ ის არაფერ იფიქროს, ვითომ რაქველს გლენს სასწავლებელი და განათლება სძულდეს; რიგორცა ვსაქვით, ძალიანაც რომ უნდოდეს, ზემოდ ჩამოთვლილი მიზეზები უშლიან ხელს. სამუშაო და სავაჭრო საქმეში რაქველი დიდად მუყაითი და მშრომელია, ესევე იქნებოდა უთუოდ სწავლა-განათლების შეძენაშიაც, მაგრამ ყველა ეს მიზეზები... უშლიან.

დასასრულს, ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა ვაფუწყო ბატონ-მელს მკითხველს. ამბროლაურის საზოგადოებამ ამ ოთხის წლის წინდელ თხოვნა მიართვა უმაღლესს მთავრობას, რომ აქ ორ-კლასიანი სასწავლებელი დაარსებულიყო. ამ ზაფხულს საზოგადოებამ ნებართვა მიიღო, რომ საშუალო ადგილას სკოლა აეშენებინათ. რადგანაც საზოგადოებამ საშუალო ადგილად ის ადგილი სცნო, სადაც სასოფლო სამმართველო იდგა, ამისათვის თვით

სასოფლო სამმართველო გარდაცეს მოიჯარადრებეს, ორ-კლასიან სასწავლებლის შენობათ გადაეკეთებინათ. მალე შენობაც მოსრულდა და 7 ოქტომბერს მრავალი ხალხის თანადსწრებით აკურთხეს ახალი სკოლა. მღვ. ვლადიმერ მესხმა კურთხევის დროს შესაფერი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებასა და აუხსნა, სკოლის დაარსებას რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან საწყალ და ბეზავ გლენ-კაცობისათვის. სკოლის კურთხევის მეორე დღესვე ბუზივით ჰოაწყდა მოსწავლეები და დღეს სკამბოციკი ველარ იტვენ, იმდენი მსურველია. ამას წინად თუ ამ სახლში სოფლელოთა აყალ-მწყალი და დავი-ღარაბა ირჩეოდა მსაჯულთაგან, დღეს სწავლის ტაძრად გარდაგვექცა. ვისურვოთ, მაშ, სწავლა-ცოდნის შეძენის მხრივ უკან ჩამორჩენილს საწყალს მიყრუებულს რაქას კვალად წინ წაეწიოს.

განა ჰიქინაძე.

უცხოეთი

ზამთავალი შატაბი. წარსულს ოთხშაბათს რუხველტმა თვისიან „თეთრს სახლში“ მიიწვია სადილოდ ზანგი ბუკერ ვაშინგტონი, რომელიც ზანგათავის არსებულს უმაღლესს ინსტიტუტის სათავეში სდგას და საერთოდ ბევრი საკეთილო სამსახური გაუწევია ზანგებისთვის. რუხველტის საკრიელი ამერიკელების ზნეჩვეულებასთან შეთანხმებული არ არის და ამიტომ ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში. სამხრეთ-ამერიკის ერთს წარმომადგენელს უთქვამს: „სამხრეთი ვერასილდეს,

დეს, თორემ ხომ იცი, ფიცის კაცი ვარ, სოლომონ მეფის ტახტის აზნაური—უკან ვერ შამოგიჯენ სწორედ, უცხენოთ რომ დარჩე.

—მოკლედ გეტყვი, მოკლედ იყოს შენი გზა და სოფელი... ჰო, ამას გუუბნებოდი, მქაღი და ლობიო მაქვს, ღვთისა და ბაბუას წყალობა, მარა, როგორც ქვეყნის მაცხოვარმა ბრძანა: „არა ხოლო პურითა ცხოვნდების კაცი“ ბროგორც რუსთველმა გვიჩიოა „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყველასა მოსახვეჭელსაო“, სოფლის მწერალსაც ვერ გავაძან თავი, როგორც რიგია, ისე ჩემს სოფელს იქით ხომ ერთი პატიოსანი კაციც ვერა მცნობს...

—მე რომ გიცნობ, ეს არაფერია?

—არა, შენ ხომ ხარ და ხარ... არა შენს გარდა... ჰო, იმას ვამბობდი... ის ჩამყვა გულს ზაფრათ, ქვეყანაში ვერაფერით ვერ გამოვიჩინე თავი. არც ერთს კენჭის ყრას არ ვაკლდები: ხან ერთს დასს ვეზმარები, ხან მეორეს, ხან მესამეს, მარა არც ერთმა არაფრათ ჩამავლო.

დახმარებით-კი ყველამ დამიხმარა, მაგრამ მე-კი არც ერთი არ წამადგა. ასეთი უბედური შევიქენი, რომ ორჯელ-სამჯერ ჩხუბიც ამატებინეს კენჭის ყრის დროს... გვერდები მე დამემტვრა და ვაზეთი-კი სხვები ჩასწერეს მანხუბრათ, მე გამომტოვეს.

—მერე, რა წავიხდა მაგითი?

—როგორ თუ რა წამიხდა, შენ კაცო: მე რომ ჩავეწერეთ, ქვეყანა

თანგრძნობით ვერ შეგხვდავს იმ კაცს, რომელმაც შეაკანინი მიიწვია თავს სუფრაზეო.“ როგორც აქედამ სჩინს, რუხველტი მართლა დამოუკიდებელი და თავისუფალი პირი ყოფილა. რუხველტს განუძრახავს ბუკერი ხელმოწერით მიიწვიოს თავისთან.

ასეთივე დამოუკიდებლობის ელფერი ეტყობა რუხველტს სხვა საქმეებშიაც. მაგალითად, სამხრეთ კაროლინის ხარჯების ამკრფვად დაუნიშნავს დემოკრატი, თუმცა თითონ იმპერიალისტთა დასს ეკუთვნის.

—კუნძული სამარი, სადაც ეხლან ამბობენ დაიწყო, უძლიერესი კუნძულია ფილიპინების ახქიპელანგის აღმოსავლეთს ნაწილში. სამარის მკვიდრი მეომარი ხალხია და იმათი რიცხვი 180,000-ამდე აღის.

საზრანგათი. გაზეთების ცნობებით, მთა-მდინის მუშათა ფედერაციის კომიტეტმა სენტ-ეტენში დაადგინა გაფიცვის გადადება. კომიტეტი აცხადებს, გაფიცვის მოხდენა ხმის უმეტესობით პრინციპიალურად გადაწყვეტილად უნდა ჩითკალოს, მხოლოდ ამ გაფიცვის დასაწყებად დღის დანიშნა კი თითონ კომიტეტს ეკუთვნისო. კომიტეტის აზრით, საჭიროა, ვიდრე გაფიცვის მოახდენდნენ, შეიტყონ, რას იტყვის კომისია, რომელსაც გადაეცა განსახილველად დეპუტატის ბასლის წინადადება, რომელშიაც ჩამოთვლილია მუშათა მოთხოვნანი. რადგანაც კომიტეტის შემდეგი სხდომა თებერვალში მოხდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ გაფიცვა თებერვლამდე მაინც არ დაიწყება; თუმცა მონსო ლემინის დელეგატი ენგერვიულად გაუწინაღმდეგდა კომიტეტის გადაწყვეტილებას და გა-

წაიკითხავდა ჩემს სახელსა და გვარს. მერე მე დავაბეჭდინებდი პასუხს და რამდენსამე კაცს საპასუხოთ გამოვიწვედი; იმათაც პასუხს გავცემდი, ისინი მე, მე იმათ, მერე სხვებიც ააწიონებდნენ კალამს, შეიქმნებოდა წერა, ჯღაბა, ჩხრეკა, კილვა, კიცხვა, შარი, ქება, დაცინვა, ქორი და ყველა ამავაშისულ მე ვიქნებოდი ხსენებულთ. თემსა და სოფელს, იმერეთსა და გურია-ოდიშს, ქართლსა და კახეთს ყველას ეცოდინებოდა, რომ პალიკო ამანჩახოძეც არის ქვეყანაზეო!

ასეა, ჩემო გიორგი, ღვთის გაჩენილი სოფელი, აბა როგორ გგონია? „სოფელი იმათ არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსაო“, უთქვამს პოეტსა და ამას ზედ დაფუძატებ, რომ „ერთხელ ვაზეთში ჩაბეჭდვა მიჯიბს მადლსა საცხოვნებელსა.“

—მარე თუ მოგწყურებია ვაზეთში თავის ჩაბეჭდვა, ბიძი, მე ვასწავლი, როგორ მოახერხო.

—იჰ, უთუოდ მისახარებ რაცაღას!

—არა ღმერთმანი. აი, რა გითხრა: რომ მოკვდეს ვინმე, სადმე კენჭ-ნაყარი კაცი, —ხომ იცი, ყველა კენჭ-ნაყარს ჩვენში საზოგადო მოღვაწეებს ეძახიან, —მიდი და... კი არ იტრო, არ გაგიწყურეს ღმერთი! —მიდი და ბავთი *) სთქვი. აქე

*) მიცვალებულის კუბოსთან თქმული სიტყვა. ავტ.

ნაცხადა, რომ იმისი კოლეგის მუშეები არ დაემორჩილებიან ამ დადგენილებას და 1 ს ნოემბერს გაფიცვის დაიწყებენო. დელეგატებს დაუდგენიათ მიმართონ მინისტრ-პრეზიდენტს, ვალდეკ-რუსოს, წერილით მუშათა მოთხოვნის შესახებ, და თუ სასურველი პასუხი არ მიიღეს იმისგან, მაშინ ფარულის პაროლით გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა.

ამსტრი-შნებრეტი. ჩებთა კლუბის და კონსერვატიულ ჩებთა ფედერაციების კლუბის წარმომადგენელთ პირობა დაუდგიათ, რომლის ძალითაც ორივე დასის შეერთებული სხდომები იქნება გამართული პარლამენტში მოქმედების შესახებ.

ჩინეთი. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ჩინეთთან დადებულ სამშვიდობო ზავის პირობაში ევროპელებმა ერთი მუხლი ჩაუმტეს, რომლის ძალითაც ჩინელებს აღეკრძალათ სხვა სახელმწიფოდგან საომარ იარაღის შეტანის მთავრობა ვალდებული იყო ამ მუხლის გამო განსაკუთრებული ედიქტი გამოეცა. მთავრობისათვის რასაკვირველია, სარფა არ არის ისეთი ედიქტი გამოცეს, რომ ხალხმა ქეშმარტება გაიგოს, ამიტომ აი რა მოხერხებულად შეუდგენიათ იგი: „თუმცა საომარ იარაღისა და მასალის შემოტანა აღკრძალული იყო, მაგრამ ვაჭრებს მაინც კონდრანდით ყოველთვის შემოჰქონდათ ხოლმე იგი და ჰყიდდნენ. თავის გასამართლებლად ვაჭრები იმას ამბობდნენ, რომ მთავრობამ შემომიკვეთა იარაღისა და მასალის შემოტანაო. უკანასკნელ დროს არც ულებანი მოითხოვენ, რომ ამას ბოლო მოეღოს. წესიერების დასაცვა

და აღიდგ მიცვალებული; ასე სთქვი ღამეს რომ მთავარ მოზორდეს, მის მაინც გაგვითენებს; მდინარეები რომ გაშრეს—წვიმის წყლით მოვიკლავ წყურვილს; პური რომ გაწყვედეს ქვეყნათ, მქადით გამოვიპურებთ თავსა, —მაგრამ რა უნდა ქნას კაცობრიობამ, თუ ერთს უბედურადღეს ჰაერი აღარ ექნება?... და აადგილას ხმას აუწიე: მზგავსათ ამისა, რაღა უნდა ქნას დღეს დამონებულმა საქართველომ, რომ ცოცხალთა შორის აღარ ჰყავს აწ კუბოში მდებარე გვამი მისი ერთადერთის ნუგეშისა, ერთად-ერთი გენიოსისა, ერთად-ერთი შარვანდელით შემეკულ მოღვაწისა მწერლისა, სარდლისა და სხვადასხვა ამა და ამ კაცისა-თქო.

აქ შენ შეატყობ, რომ დამსწრეთა შორის ჩოჩქოლი შეიქნება. ისარგებლე ამ წუთითა და გამოლანძლე რომელიმე უკრანალი, ვაზეთი, ან იმისი თანამშრომელი განი ვინმე და უთუოდ მოგწყურები იმ ბედნიერებას, რომელს შენ აგრე გენატრება...

—შენ, მგონი, ხუმრობ; ჩემო გიორგი, და მავას თუ ვერ მოვახერხებ პირველ შემთხვევისათანავე, უღლვამს გადავიპარასავ, აი!

—მეცა მძიობდეს, ამოიღეთ. მაგამდე

—მეცა მძიობდეს, ამოიღეთ. მაგამდე

—მეცა მძიობდეს, ამოიღეთ. მაგამდე

—მეცა მძიობდეს, ამოიღეთ. მაგამდე

—მეცა მძიობდეს, ამოიღეთ. მაგამდე

—მეცა მძიობდეს, ამოიღეთ. მაგამდე

ლად ვუბრძანებთ გენერლებს, გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს და საბაჟოების უფროსებს არავის არაფრის გულისათვის არის წლის განმავლობაში საომარ იარაღისა და მასალის შემოტანის ნება არ მისცენ. ხამს კაცს ამ ედიქტის კითხვის დროს ეგონება, მთავრობას კონდრაბანდის აღმოფხვრა განუზრახავს მხოლოდ.

იველინი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ინგლისის მთავრობას ჰამბურგიდან კაპიტანში ჯარისათვის 25,000 ყუთი კართოფილი გაუგზავნია. ეს ნაწილი თურმე იმ დიდ ძალ კართოფილისა, რომელიც ინგლისის აგენტებს სამხრეთ-აფრიკის ჯარისათვის გერმანიაში უყიდნიათ.

— სამხრეთ-აფრიკაში სარდლად ნამყოფი გენერალი ბულდერი იძულებული გახადეს თავი დაენებებინა სამსახურისთვის. იმის აღვიდას დაინიშნა გენერალი ფრენჩი. ფრენჩი ერთადერთი ჯარის უფროსია, რომელმაც კარგი სამხედრო სარდლის სახელი მოიხვეჭა სამხრეთ-აფრიკაში. სამხრეთ აფრიკიდან ფრენჩის მეტროპოლიში გამოწვევა უეჭველია აფნებს ინგლისის ინტერესებს. ფრენჩი ბურებს არც ერთხელ არ დაუმარცხებიათ და თითონ-კი ბევრჯერ გაუმარჯვებია ბურებს, ასე რომ იმას ბურები შიშის თვლით უყურებენ. ფრენჩი დაამარცხა ბურები ელანდსლოანტესთან, იმან მოამწყვდია და დაიმორჩილა კრონიეს რაზმი, იგივე ფრენჩი იყო ხელმძღვანელი ბევრი სხვა ინგლისისათვის აკეთილდ გათავებულის შეტაკებისა, ინგლისის ჯარი ეხლა უფრო, ვიდრე აქამდე, მსაჭიროებს ნიჭიერის სარდლის ყოლას, და ფრენჩი კი ინგლისში უნდა დაბრუნდეს.

ორიოდე შენიშვნა იუბილეიზე.

საიუბილეო დღენი წარვიდნენ და განპქრნენ ჟამთა უფსკრულში და ისტორიის კუთვნილობად შეიქმნენ. ახლა-კი დროა, რომ იუბილეს ანგარიში გაუწიოთ, მაღლი და ცოდო მოვსახოვოთ, მსჯავრი დავესდოთ. ასეთი „ქმნა მართლისა სამართლისა“ ადვილი საქმე როდია და მე მინც ჩემსას არ ვიშლი. მასლაათის მადაზედა ვარ, წერის საღერღელი ამეშალა...

ჩვენი მოწინავე საზოგადოება, ჩვენი დიდ-კაცობა არაფერს პატივს არა სდებს თავის ისტორიას, თავის წარსულს. ჩვენთვის აქამომდე ისტორია მეტი ბარგია, მეტი სამკაულია, რომელიც არც სულსა და არც გულს არ ეკარება. ისტორიული გაკვეთილი და მაგალითი ხომ ჩვენთვის არ არსებობს და არა.

ისტორიას რომ დავითხოვით და ასის წლის წარსული გაგვეთვალისწინებინა, მაშინ, უეჭველია, ჩვენც უფრო ვისამოვნებდით და სხვებსაც ვასამოვნებდით. მაგრამ რა ისტორია, როცა ისიც-კი არ ვიცით, — საქართველო საქმით რომლის შეუერთდა რუსეთს, როგორ მოხდა ეს შეერთება, რა სარგებლობა მოუტანა შეერთებამ ქვეყანას. ამ მხრივ ჩვენი უმეცრება მართლაც-და საოცარია. მაგრამ მოჩუქუნს ისტორიის ვინ-ღა სჩივის,

„Temps-ის“ სიტყვით, ინგლისის მთავრობამ სამხრეთ აფრიკაში მოქმედ ჯარისთვის 60,000 გირვანქა შოკოლადი შეუკვეთა მექარხნის კედლების, რომელმაც უარი განაცხადა, შოკოლადს არ დავამზადებ, რადგანაც არა მსურს ხელი შეუწყოს სამხრეთ-აფრიკის ომის გაქიანებასაო. გარდა ამისა, ერთს გერმანელს ფაბრიკანტს, რომლისთვისაც ინგლისის მთავრობას დიდ ძალი ქუდებიც დამზადება შეუკვეთნია, ასეთი პასუხი გამოუგზავნი: მთავრობისათვის: მე ვერ მოგიზადებთ ქუდებს, რადგანაც არა მსურს ხელი შეუწყოს ტრანსვალის განადგურებასაო.

ოსმალები. იმპერატორის ელჩების შვილი პრინცი ალაბერტი ოსმალების სატახტო ქალაქს კონსტანტინეპოლს ესტუმრა. ამის გამო სულთანსა და ელჩებს შორის თანხმებისათვის სამეგობრო დებეშები გაუგზავნიათ. საყურადღებოა ასეთი მეგობრობა სულთანისა და იმპერატორისა ეხლა, როდესაც სხვა სახელმწიფონი მტრულის თვლით უყურებენ ოსმალებს და, როგორც ისმის, იმის საქმეში ჩასარეველად ემზადებიან.

— „Daily Telegraph-ის“ პეტრობურგელი კორესპონდენტი იუწყება: ერთმა წარჩინებულმა რუსმა განაცხადა, რომ თუ გერმანია ბალდის რკინის გზის გაყვანას შეუდგა, შეიძლება ამ საქმეში რუსეთი ჩაერიოსო. გერმანიას უნდა მცირე აზიაში ნემეცები დასახლოს, რუსეთის ვაჭრობისთვის-კი ეს სარფა არ არისო.

ავსტრო-უნგრეთი. 10 ოქტომბერს მომხდარმა უწყისებამ პარლამენტში სხდომის დროს თითქოს

როცა პრესასაც-კი ყური მოგუყურეთ. ყველგან, სადაც საზოგადოება განვითარებულია, საქვეყნო საქმეს პირველად ურნალ-გაზეთებში გამოამზევენ ხოლმე. ამ შემთხვევაში პრესას ეკუთვნის პირველი სიტყვა და ერთი დიდის პატივით ეპყრობა ამ სიტყვას. ჩვენში ასეთი „ცერემონია“ არ ეპიტნავე ბათ და თითონ პრესაც აბუზად უქორავთ. ყველამ კარგად იცის, — თუ რანაირად ექცვიან ჩვენებურს ლიტერატორს, მწერალს. უბრალო მოხელე და მისი კაკარა, ჩვენის საზოგადოების აზრით, დაშორებით მაღლა სდგას ქართველ ლიტერატორსა და იმის კალამზედ.

აქ ერთს დამახასიათებელს ამბავს მოგიხსნათ. ბაღლი ვიყავი, ასე ექვსი-შვიდი წლისა, როცა ჯერ ისევ დავითნის პირველ კანს ვსწავლობდი და ხარის ბეჭედს ვსწავლიდი. მაშინ ის იყო „კაცია ადამიანი“ დაიბეჭდა და დიდი მითქმით-მოთქმით ასტეხა ჩვენს სოფელში, რომელიც თავად აზნაურობის ბუდედ ითვლებოდა. ერთთავად ხმა დაადგეს, რომ „კაცია-ადამიანის“ დამწერი სულელი და გიჟია! — არა, შეილო, არ დაიჯირო, ეგ შეურის საქმეა, დავითში აკი გიწერია, — „შურმა არა უწყის პატივი უმჯობესათა“, მეუბნებოდა ცხონებული მამა ჩემი. იმ დროიდან დამწერი აქამომდე დიდი ცვლილება არ მომხდარა. და ეხლაც ჩვენს პროვინციელს საზოგადოებას

საკეთილო გავლენა იქონია. 11 ოქტომბერს ახალგაზრდა ჩეხმა პაკაპა სთქვა პარლამენტში, სტრანსკი ახალგაზრდა ჩეხების კლუბის სახელით ლაპარაკობდა და ამიტომ მას ასე ურიგად არ უნდა მოჰპყრობოდნენო, და შემდეგ შეეკითხა, რას აპირებს პრეზიდენტი ამ გვარი უწყისების თაფილამ ასაცილებლად მოამავალშიო.

გრაფმა ფეტეტერმა უასუხა, სამწუხაროდ მე მხოლოდ ის შემიძლიან, რომ დეპუტატებს წესის დაცვა მოვავგონო ხოლმე და ძალიან ვწუხვარ ამის გამო, რადგანაც უწყისობა ხელს შეუშლის პარლამენტს ნაყოფიერად იმოქმედოსო. 11 ოქტომბერს პარლამენტში ხმა დაადგეს, კერბერი უნგრეთში მიდის და სამსახურიდამ გამოსვლას აპირებს, თუ პალატა მშვიდად მოქმედების სურვილს არ გამოიჩენსო. ამ ხმამ გავლენა იქონია და მეორე დღეს, დასებს შორის მომხდარ მოლაპარაკების შემდეგ, დადგენილ იქმნა სტრანსკის ინტერპელიაცია უკან გაიტანონ.

ჩინეთი. „Times“-ს მანჭიდგან ატყობინებენ მანჯურიის შესახებ: „მანჭაში ვუჩანგიდგან ოფიციალური ცნობა მოვიდა. ამ ცნობაში ნათქვამია: როდესაც ჩანჩიტუნგისა და სამხრეთ-ჩინეთის სხვა პროვინციების ვიცე-გუბერნატორებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს რუსეთთან დადებულ მანჯურიის კონვენციის გამო, იმპერატორი შეეკითხა მათ, რა საშუალებებს დაასახლებენ ისინი რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ და იმედი აქვთ თუ არა, რომ ინგლისი და იაპონია დაეხმარებიან ჩინეთსაო? — „Stand“-ს კიდევ აი რას ატყობინებენ ანჭიდგან: „იუნ-

ქართველი ლიტერატორი, თუ გიჟად არა, ტუტუყად მიინც მიანიხი. რას ვიზამთ, როცა ჩვენი უკუღმარობა ისრე აღორძინდა, ჩვენი გონება ისრე დაბნელდა, რომ ქვეყანა გიჟად გვეჩვენება და გიჟი ქვეყანად. ასეთს დროს და ამნიარს მდგომარეობაში რაღა საკვირველია, რომ პრესა უბრალო ცოდლობად სწამდეთ და მწერლობის მუშაკი ათვალ-წუნებული ჰყავდეთ. სამწუხარო კიდევ ის არის, რომ სწორედ ასე იქცევა ჩვენი მაღალი წოდება, ვგრედ წოდებული დიდ-კაცობა. და წარმოიდგინეთ, რომ ეს დიდ-კაცობა ყოველთვის-კი სათავეში უდგია ხოლმე საქვეყნო საქმეს!...

თვით შეგნებულმა რუსის საზოგადოებამაც კი არ იცის არც ჩვენი წარსული და არც ჩვენი აწმყო, არც ჩვენი სადღესასწაულო და არც ჩვენი სამგლოვიარო ამბავი. საიუბილეო გულითადობას სწორედ ეგ უცოდინრობა უშლიდა. მინც იმ თავითვე აქამომდე ჩვენს გაცნობას და შესწავლას ყურადღებას არ აქცევენ, თითქო საქართველო მთელს უძირო მადანს არ წარმოადგენდეს სასწავლებლად და საძიებლად!... საიდგან სად მოდიან უცხოელნი და ჩვენს ქვეყანას ყოველმხრივ სწავლობენ, შინაურები კი არხეინად სხედან და მხოლოდ ბუნების სიტუროფით სტკებებიან. ვინც რამე დასწერა და სხვას აცნობა, უმეტესად უგვან და უხამსი გამოუყვია. ავილოთ

გლუმ აქნობა ლი ზუნ-ჩანგს: იმპერატორისა გულითა და სულით უნდა რუსეთთან მეგობრული განწყობილება იქონიოს. რუსეთის მეგობრობით უნდა დაიცვას ჩინეთი უცხო-სახელმწიფოთა გავლენისა და თავს-დასხმისაგან, ხოლო თავისი თავი განსაცდელისაგან, რომელიც შეიძლება პეკინში მოვლის.

— რუსეთ-ჩინეთის იმ ხელ-შეკრულების გამო, რომელიც მანჯურიას შეეხება, ჩინეთში ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ. ადგილობრივი გაზეთები ამ ხელ-შეკრულების გამოკვეყნების დროს ამბობდნენ, რომ ჩინეთმა უნდა მისცეს რუსეთს რამე შანშაი-გუნ-ნიუჩანგის რკინის გზის დაბრუნებისთვისაო. ამბობენ, რუსეთს მიეცემა უფლება რკინის გზების გაყვანისა და ქვამალაროების დაწესებისა; მეციხოვნეებად რუსეთის ავირების მიერ გაწვრთნილი ჯარი იქმნება. რუსეთის ჯარი წესიერების აღდგენამდე დარჩება ჩინეთშიო. ამ პირობების წინააღმდეგ სამხრეთ-პროვინციის ვიცე-გუბერნატორები ეხლავე პროტესტს აცხადებენ თურმე.

იაპონია. იაპონიის თურნალ-გაზეთებიც ბევრს ლაპარაკობენ მანჯურიის ხელ-შეკრულების შესახებ. გაზეთები ექვობენ, რომ ინგლისმა განაცხადოს ოამე ამ ხელ-შეკრულების გამო იმას-კი ერთხმად ამბობენ, რომ ეს ხელ-შეკრულება ძალიან საწიშო და საზარალოა როგორც ინგლისის, ისე იაპონიის ინტერესებისათვისაო. გაზეთებს არა სჯერათ, რომ რუსეთმა თავისი სიტყვა შეასრულოს და ჯარი მანჯურიიდან გაიყვანოს.

ფილიპის კუნძულები. ფილიპის კუნძულებზედ ამ ჟამად 40,000 ჯარის კაცია შეერთებული შტა-

ერთი მაგალითი, რომელიც შეერთების წინ მოხდა. მე მოგახსენებთ ნიკოლაი დანილოვიჩ იაზიკოვის „ზაპისკას“ — სადაც ჩვენი სამშობლო არის აწერილი.

ეს კაპიტანი იაზიკოვი საქართველოში იმ დროს გამოგზავნეს, როცა ერეკლე მეფეს და ტოტლებენს უსამოვნობა ჰქონდათ, და დაავალეს ჩვენი მხარე შეესწავლა და საქმის ვითარება ეცნობებინა მთავრობისათვის. იაზიკოვმაც შესრულა ეს მინდობილება და მეგრე იცით როგორ? — იმის „ზაპისკა“, 1770 წლის თარიღით, პროფესორ ცაგარელს აქვს მოთავსებული თავის „მასალებში“. იაზიკოვს დაუვლია საქართველო, ვითომ ყველაფერი შეუსწავლია და აი რასა სწერს: ქართოელი და კახელი ქარაფშუტა, ზარმაკი და რეგვენი ხალხია, ცრუბენტელა და მატყუარა, ათჯერ უნდა უთხრა და მაშინაც თუ შეასმინე რამე, ღვთის წყალობა იქნებაო. იმერლებიც ველური ხალხია, სინილისი არა აქვთ და სირცხვილზედ ხელი აუღიათ, მთლად ქურდ ბაცაცები არიანო. თვით სოლომონ მეფეც ველურ-კაცად მოხსენებულია, — ხვესა და ტყეში გაიზარდა და მაშ არ გაველურდებოდაო. იაზიკოვის სიტყვით, იმერეთის პატრიარქმა უბრალო წერაც-კი არ იცისო... კაპიტანი, რასაკვირველია, ბუნების სიმღერესაც ასახელებს, სხვა-და-სხვა ნადირს იხსენიებს და საოცარს ამბავს ატყობინებს თავის

ტებისა. კუნძულის გარეშე იქმნება რიკისავე 29 გემი სდგას. „Daily Mail“-ი გადმოგვცემს, შეერთებულ შტატებს კუნძულებზედ აჯანყებულთა დასამშვიდებლად დღემდე 750 მილიონი მანეთი დაუხარჯნია.

— ამ კუნძულებმა ძალიან გაუჭირეს საქმე შეერთებულ შტატებს. ისე დღე არ გავა, რომ სხვა-და-სხვა ადგილას ახალ-ახალმა აჯანყებებმა არ იჩინონ თავი. ამ ბოლოს დროს სამორის კუნძულებმა გააჭირეს განაკუთრებით საქმე. პრეზიდენტმა რუზველტმა უბრძანა თურმე სამხედრო მინისტრს, 10,000 ჯარის კაცი მზად იყოლიოს, რომ პირველ მოთხოვნისავე შეიძლებოდეს იმათი გაგზავნა ფილიპის კუნძულებზედ.

შურალ გაზეთებიდან
(ამოკრეფილი ამბები)

ერთი ამერიკელი ეკონომისტი საყურადღებო გამოკვლევას შესწავლია — ხელით ნამუშავარისა და მანქანით გაკეთებულის შედარებას. ეს ეკონომისტი საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის წევრია და ცნობილი მწერალი. იმის აზრით, საველე აღარავისთვის უნდა იყოს დღეს, რომ მანქანით წარმოება ბევრით სკარბობს ხელით მუშაობას. მანქანის წყალობით ხარჯი კლებულობს, მუშათა სამუშაო ფასი მატულობს და თანხის სარგებელიც იზრდება. ეკონომისტს გამოუკვლივია წარმოების 678 სხვა-და-სხვა დარგი. აულია თვითო დარგის საქონელი, მანქანითა და ხელით დამზადებული, და შეუდარებია. ყველაფერში უპირატესობა მანქანასა რჩება. აი რამდენიმე მაგალითი. ორი კაცი 10 გუთანს 1,180 საათში ამზადებს. მუშაობა ჯდება 272 ფრან. 30 სანტ.; ამავე საქმეს მანქანა 38 საათში ამზადებს და ჯდება სულ 39 ფრ. 50 სანტ. 100 საათის მექანიზმის დამზადება 14 მუშას შეუძლიან 3/4 საათში, და ჯდება 404 ფრ 10 სანტ.; მანქანით ამავე მექანიზმის დამზადება ჯდება 13

მკითხველებს, — ირემი, თხა, მელა, კურდღელი ქართლში ბევრი იცის, მაგრამ დათვი და მეგლი კი არ არისო (sic!). გემრიელი თევზი ბევრგვარია, მაგრამ რა გამოვიდა, — დაქვრა არ იცინო და სხვა ამისთანები. ასე გვიცნობდნენ მეთვრამეტე საუკუნეში!

მას აქედ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ ჩვენს სამშობლოს მინც ბედმა ვერ გაუღიმა. ახლაც უმეცრება და უვიცობა სკარბობს ყველაფერში, რაც საქართველოს შეეხება. ჩვენი ლიტერატურა, ისტორია, ეტნოგრაფია და სხვა მიტოვებულია, თითქო შესწავლის ღირსი არ იყვეს! ახლაც ქართლელი და იმერელი სხვა-და-სხვა შიამოებისა და ეროვნებისა ჰგონიათ, ახლაც ბრუტ-საბძელა იალბუხად მიანიხიან... ამას წინად ოფიციალურს „კავკასში“ ჩამოთვლილნი იყვნენ ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, ფშავნი, ხევსურნი, თუშნი და იმ რიგად, რომ იფიქრებდი, — თვითელი ამთავანი განკერძოებულს განსაკუთრებულს ერს წარმოადგენსო. რასაკვირველია, ამისთანა ცოდნა მხოლოდ გარეგანს, მექანიკურს შეერთებას შეიქმს და ერის სულსა და გულში ტაძარს ვერ აღამენებს, ტრაპეზს ვერ აღმართავს. ღვთის წინაშე, საჭირო კია, რომ შეერთება ხეობრივს ნიდაგზედ აღმოცენდეს, ერის „წმიდათა წმიდას“ შესწავლისა და შეგნებაზედ დამყარდეს...
ვინმე.

ფრანკ. 95 სანტ. ხელთ მუშაობა 2,000 ლურსმის დასამზადებლად 101 ფრ. 70 სანტ. ჯდება. ამავე ლურსებს მანქანა 1. ფრ. 45 სანტ. ამაზღვრს. ამერიკელ ეკონომისტ მრავალი ისეთი მაგალითი მოკვას, საიდგანაც სჩანს, რომ ხელთ მუშაობა ერთი ათად ძვირად ჯდება, ვიდრე მანქანითა. მანქანით მუშაობის დროს ჩაქარა საქონლის დაზიანებებს ხელს უწყობს შრომის განაწილება. მანქანა ამ რიგად დროს არა ჰკარგავს; დროს შემცირებდა. თან ერთად ხარჯიც მცირდება. ყველა ამას გარდა მანქანაზედ მუშას ნაკლები შრომაც აქვს, ვიდრე ხელთ მუშაობის დროს. წარმოების ზოგიერთ დარგში მანქანამ სამუშაო ფასი გააძვირა, ხელი შეუწყო მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, სამუშაო გაუჩინა დედა-კაცებსა და ბავშვებს.

ერთ ამერიკელ ტექნიკოსს გამოუგონია წყლის ქვეშ მისიარულე ველისივიდი. ეს ველისივიდი ტორპედოსა ჰგავს თუმცა ამ ველისივიდის გამოცდა ეხლა დაუწყევია და არაფერ იცის, გამოდგება იგი თუ არა.

ამერიკელებმა ახალი გასართობი შემოიღეს—ნაგარის ჩანჩქარზედ გადაკურვა, თუმცა ეს გართობა ბევრს იაფად არ უჯდება. ამას წინააღმდეგ ჩანჩქარზედ გადაკურვა განიზრახა ოპერის არტისტმა-ქალმა მოდ ვილიამმა. ნაშუადღევს ოთხ საათზედ წყალში ჩაუშვეს ბოქვა, რომელშიაც ვილიამი იყო ჩაკეტილი. ერთი საათი წყალი ნაფორებით იქით-აქეთ ისვრდა ბოქვას, შემდეგ იგი წყალ-ქვეშ დაიშალა. სადაღამ 10 საათამდე ეძებეს ბოქვა ელემტორებით. როდესაც იპოვეს და გამოათორიეს, ვილიამი ჯერ კიდევ სუნთქავდა, მაგრამ მალე გარდაიცვალა. ამ საქმეზედ ამბავსაც კი ვერ შეაჩერა მეორე ქალი მართა ვალენტინო. ეს ქალიც ბოქვით გადაკურდა, საბედნიეროდ, იგი ცოცხალი და უვნებელი გამოიყვანეს.

ოსმალეთის სულთანს აბდულ-ჰამიდს ძაღლები ძალიან უყვარს თუმცა იმისი ძაღლები ილდის-კილკის სასახლეში სტოვრობენ, იქ, სადაც მათის უდიდებულესი ობის ბინაა. ძაღლებს განსაკუთრებული კარგად მოწყობილი სადგომი აქვთ მიჩნეული. კარის კაცები არ არიან ოსმალეთში ისეთს ფუნქციასა და განცხრობაში, როგორც ძაღლები. სულთანის ძაღლებს ტანისამოსი აცვიან. თვითუფს საქუთარო თერძი ჰყავს. ყველაზედ მეტად სულთანს ერთი ძაღლი უყვარს, რომელსაც სახელად „ლოლოა“ ჰქვია.

გ ა ჯ რ ი თ

ჩვენებურადა, ძველებურადა.

(მონოლოგი)

ვინა ხართ ქრისტიანი, ბატონებო, ფულს ვერ მისესებთ?

დასწყევლოვს ღმერთმა, რა იქნა, თქვენი ქირიმეთ, იდენი ფული! ათას ორასი თუმანი!

ისე წავიდა, ისე გაქრა, ისე გაწყალდა, რომ, გროში რა არის, ერთი უბრალო, გახვრეტილი გროში, ისიც კი აღარსად მომძებნება.

მერმე რა კარგად მოვაგვარე საქმე: მამული დავაგირავე—„მეორე ზაკლადნოთ“—და ხარჯს ვარეთ ათას ორასი თუმანი ჩავიხზრიალე ჯიბეში. ათას ორასი თუმანი ნაღდი! ქალაქში არ შემომებარჯოს მეთქი, შინისკენ ვავშურე. წყრილ-წყრილი ვალეები მქონდა, ისიც კი არ გადავიხადე: მინდოდა მამულის-თვის მომეხმარებინა ფული.

მამულში ცხოვრებას სახლი უნდა, ჰა? ჩვენი ძველი, მამაპაპეული სახლი, კოშკის გაღვივებში, თავზედ გვეზვრებოდა. ორ პატარა ოთახში ვიყავით იმოდენი ხალხი. არც მარანი გვექონდა ხეირიანი, არც ბოსელი. მოდი შენა და მამულს მოუარე!

მაშინვე შენობას შევედექ. იმისთანა „პლანი“ დამიხატა ჩვენმა არხიამ, რომ უკეთესი აღარ შეიძლება; სწორედ სასოფლო-სახლი ყოველი მოწყობილობით. რვა ოთახი ზევით, რვა ქვევით, ძირს კიდევ მარანი და ძველი სახლის ალფას თქვენი მოწონებული ბოსელი. ძალიან მოწყობილი რამ გამოიყვანა იმ დალოცვილის შვალამ; ერთ შვილად ღირდა მარტო საბანებელი ოთახი.

ღვთის წყალობა გაქვთ, მე დავფაცურდი. საუკეთესო მასალა ვიყიდე—კირი, გური; ქვა და ქვიშა მოვაზიდვინე. სამი უღელი იმისთანა კამეჩი გავიჩინე მასლის საზიდავად, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდათ. ახლა ურმები? .. მოვზიდე, ჩემი ხართ ბატონი, მასლა; დავახვიე ხალხი, მიწა ამოვადებინე და საძირკველი ჩავყარე...

ღმერთმა მკითხოს, თუ ვიცოდე, როგორ მომაწყდა იმოდენი ხალხი. ისე მოსდევდა ფაიტონი ფაიტონს, და ურემი ურემს, თითქო, ალავკრობას მიეშურებოდა. ახლო-მახლო სოფლებისას ვინ რას იტყვის, ქალაქიდანაც კი მეწვივნენ სტუმრები. საიდგან გავგოთ იმ ჩემი ცოდვით სავეთ, რომ საძირკვის კურთხევას ვაპირებდი?! საცა კი ვისთანმე ბური გამოტყენია, საცა კი ვისთანმე ღვინოს გზლებივართ, ყველამ ჩვენსა მოიყარა თავი, თითქო დაპატიებული მყოლოდნენ. ჩვენმა რეზიკომ მედლუ-დუკეებიც კი ამომგვარა ქალაქიდან. ესეც არ მაქმარეს და დევეშით დამაბარებინეს აბდულობი თავისი დასით. იმისთანა საზოგადოება შეიკრიბა—ქალი თუ კაცი, რომ... ვინ გინდა სულო და გულო, იქ არა ყოფილიყო. ასის წლისაც რომ გავხდე, გული ამიფანცქალებდა, იმ ქალებში რომ ჩამსვან. თვალით იქმეოდნენ, თვალით! ახლა ყმა-წვილები! სულ რჩეული ყმა-წვილკაცობა გახლდათ—კარგი მომღერლები, კარგი მოლექურენი, კარგი დროს გამატარებელნი და უფრო კარგი მსმელნი.

დავსხედით, პატონო, და ისე გავატარეთ ერთი კვირა, რომ სუფრა აღარ ავგილაგებია. ორ დღეში ისე ამოწურეს ოციანი, რომ ღვინოც კი მაყიდვინეს. ქალაქიდან დაბეჭდილი ბოთლებით მაზიდვინეს ღვინო „კახეთის საზოგადოებისა“ ზედ თქვენი მოწონებული თევზუღი და „ზაკუსკები“. იმისთანა დროება გავატარეთ, რომ... დასტები, გულო, და მოკვდი!...

დიად! ერთი ათად მეტი გამოიტანა მამაჩემმა ბანკიდან. რა დროს ვაატარებდა, ის ცხონებული, ისაევ, რა წაჰყვა მეტი?

ფული?... სასწაულო-მომქმედი ყოფილა, ზღაბრული ნატვრის თვალი. ერთი-კი წამოაკრანტალა ვილაშაც—ნეტავი კარვები გვექონდეს!—და იმისთანა კარვები ვადავქიმე ჩვენს გაღვივებში, რომ შემოდგომის ბანაკი გვევლებოდათ, ვერაზედ რომ მართავენ. ლოკინი, საქმელ-სასმელი... მოდიოდა და მოდიოდა! ოთარანთ დუსკამ ხომ დამწვა და დამდაგა: ახირა, ლეკურს არ ვითამაშებო. თურმე „ტუფლები“ არ უყარგოდა. იმ წამსვე ქალაქს ვაფრინე ბიკი.

ის კი არა ბრძანოთ, ნანობსო. არ გამიწყრე ღმერთი! ათას ორასი თუმანი-კი არა, ათას ორასსამეფოს გავუშლიდი იმ პაწაწინეტულა ფებს ქვეშ და მეც ქვეშ გავვებოდი.

რაღა თავი შეგაწყინოთ, ძალიან დროება გავატარეთ. ავყვეით, ბატონო, ჩვენს ხეობას და საცა ჩრდილი მოგვეწონა, სუფრაც იქ გავაშალეთ. მთელი ერთი კვირა თავს გვადგენ ფაიტონები და სწორედ საუცხოვო სანახავი იყო „ჩვენი კამპანია“. წინ არჩეული ცხენოსნები სიმღერით და უკან ფაიტონებით კოკობი ვარდის თაფული ჩვენი ქალები.

მერმე თევზაობა მომიწოდმეს. ვილაშაც ვეთქვა იმ ჩემი ცოდვით სავეთ, ორაველი ვნახეო. ამიტყენენ, წყალი დავწყვიტოთო. და ვარბინე, პატონო, ბიკი და იმ გახურებულ მკის დროს მთელი სოფელი წყალზედ წავასხი, ქუდზედ კაცი. ორაველი-კი არა, კაპუეტის ვერ ვიშოვნეთ, მაგრამ ისე მოვიღებინეთ იქვე ქალაქში, წყლის პირას, იმისთანა სუფრული შემოვძახეთ, რომ თქვენს კეთილს ყურს არსად სმენია. ჩვენც ვისიამოვნეთ, ხალხიც ვისიამოვნეთ. იტყვიან, თვად-ახნაურსა და გლესკაცს შორის ერთობა აღარ არისო...

კვირას მოსულნი მეორე კვირას ძლივს წავიდნენ ჩემი სტუმრები. მეც ისევ შენობას შევედექ. კედლები ავიყვანე, ქერი დავხურე, გადავღესე და... ყავარი-კი... ყავარი ვედარ ვიყიდე... ღმერთმა მკითხოს, თუ ვიცოდე, სად გაქრა იმოდენი ფული!

კარვები მაშინვე ავშალე, კიდევ არაფერ მოვიდეს მეთქი, და ყრია ისე მზის გულზედ. ნეტავი იყოს ვინმე, ძალიან იაფად დავუთმობდი. კამეჩები გლესკაცებმა იყიდეს; ჩაღის ფასად წაიყვანეს, მაგრამ ღმერთმა მოახმარათ. ახლა დგას, პატონო, აქიმული იმოდენი პალატი და ყავარი-კი ვერ დამხურავს. კიდევ კარგი, გვალვაა, თორემ, თუ წამოვიდა ერთი შხაპუნა წვიმა, სულ გამოიხრებოდა იმოდენა შენობას.

ცხენის გაყიდვასაც ვფიქრობ, მაგრამ შენანება: ძან-ძან საქონელია და წაახდენენ მოუფელობით. სრული სამოკი თუმანი დამიჟდა, კავაყიდვან ვადმოვაყვანინე.

ჰა, არავისა გაქვთ ფული? სარგებელზედ აღვილათ მოგრიდებდით. ერთი ის შენობა გავათავო და მეომე თუნდა... ახლა ბანკიც მღონებს... „მესამე ზაკლადნოთ“ ბატონებო?

?

დებემა

(„რუსეთის დევეშათა სააგენტოსაგან“).

19 ოქტომბერი.

ჩინტოპილი. თავლი და წვიმაა. გემები გუმინ სარაულში წავიდნენ.

ვოლოგდა. 8⁰ ყინვაა. მდინარე გაიყინა.

პერი. კერჩის სელი ძალიან ბევრი ჰხედება; თევზი სუფთაა, მსუქანი, სწორე, საშუალო ზომისა. ამ ერთის კვირის განმავლობაში 8 მილიონამდე დაქერილი. ათასი

13—18 მანეთად ფასობს. კომსა ასი ათას ფუთამდე დაქერილი.

ტუშინი. ირტიში ტაბოლსკის ბრადპირ გაყინულია.

ახალი მარგალი. სამხედრო მინისტრმა 14, 15 და 16 ოქტომბერი ფერგანის ოლქში დაჰყო. ინახულა ჯარები, სახელმწიფო დაწესებულებანი, სასწავლებლები, ბაბის გასაწმენდი ქარხნები, სათესლე საღვურები და სხ. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა. მარგვლიანში სამხედრო საკრებულოში ბაღს დაესწრა.

პარიში. ვახეების სიტყვით, ოსმალეთში წასული ესკადრა უკანვე მობრუნებულა, რადგანაც სულთანს დაუთმია საღვრა საგანი.

Goulois სიტყვით, ბაბსტი თურმე იუწყებოდა დევეშით, რომ აბდულ-გამიდს საფრანგეთის მთავრობის მიერ წარდგენილი ყველა პირობები მიუღია.

ლონდონი. „Daily News“-ის სიტყვით, ინდოეთში—იუნანსა და მდინარე იანცხეს სათავეში საჩქაროდ ექსპედიციის თურმე ჰგზავნიან, რომელსაც პოლიტიკური აზრი აქვს და ტროიკადრულად უნდა შეისწავლოს მხარე.

პრისტიანია. დღეს უცბად გარდაიცვალა ნობელის სახელის ნორვეგიის კომიტეტის თავმჯდომარე დოქტორი ბენგარდ გეტცი.

ტულსონი. ადმირალის კალიარის დივიზია სახმელთაშორისო ესკადრას გუშინ დილით ჩამოსცილდა, აღნიშნული დივიზია ოსმალეთის წყლებში კვირას საღამოთი ან ორშაბათს დილით მივა.

ტულსონი. ტყუილია, ვითომ ადმირალის კალიარის დივიზია და სახმელთაშორისო ესკადრა უკან დაბრუნებულიყვნენ.

პარიში. სამხედრო მინისტრს არავითარი ცნობა არ მიუღია იმის შესახებ, რომ კალიარის დივიზია ტულსონში დაბრუნებულიყოს.

პარიში. სამხედრო მინისტრმა სახმელთაშორისო ესკადრის მთავარ-სარდალის ადმირალ მეგრესავან დევეშა მიიღო, რომ ესკადრა ტულსონს დაბრუნდა და ბრძანება აღსრულებულია.

მოსკოვი. როზენბერგის აფთიაქში 19 ოქტომბერს ბენზინმა იფეთქა სარდადში. ცეცხლის მქრობელი ორჯერ მობრუნდნენ უკან, რომ ახალის აფეთქების გამო გაჩენილი ცეცხლი ჩაექროთ.

პეტერბურგი. ალექსანდრესეულმა საიმპერატორო ლიცეუმ 90 წელიწადი დაარსებისა 19 ოქტომბერს ილღესაწაულა. პუბიკისა და პროფესორის კოტლიარვესკის პრემიები მიეცათ 1,000 მანეთიანი სრული პრემია პუშკინისა სოკოლოვსკის, რომელმაც მრთელი შექსპირი გადასთარგმნა და განმარტა; ნახევარი პრემია სტანუკოვიჩისა და ჩუმინის. სრული პრემია კოტლიარვესკისა 1,000 მან. მიუსაჯეს როვინსკის თხზულებისათვის:

„Черногорія въ ея прошломъ и настоящемъ“.

20 ოქტომბერი.

ოღესსა წყალში განსაცდელი-საგან მხსნელ რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების ოღესის ოლქის თავმჯდომარემ ქალაქის უფროსმა გრაფმა შუგალოვმა საზღვრდგან შემდგევი დევეშა მიიღო მისი იმპერატორობით უდიდებულესობისაგან: „იმპერატრიცა და მე გულითა ვმადლობთ „წყალში განსაცდელისაგან მხსნელ რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებას“ ოღესის ოლქის წევრთა და გამგეობას, აგრეთვე ყველა უწყების წარმომად-

გენელთა და ოღესის წევრების. იმ გრძნობებისა რად, რომელთა გამოუცხადეს. გულწრფელოდ მოხარულნი ვართ, რომ ჩვენის ოჯახობისათვის დიდად საზახოვრა დღევანდელს დღეს ახლო საღვური დავიარსებოთ. ნიკოლოზი“.

სამარა. 16 ოქტომბერს 7 საათზედ, დიწვა შირიაევის გამწვევი გემი „Ириода“, რომელიც „ჩორხ“-ის საზოგადოებაშია დაზღვეული. დაიხრია ტივების პატრონი კივლინი, მისი მყოფი კომანდირის ორი შვილი და ორი შვილიც მემანქანისა. გემი მთლელ დაიწვა.

მოსკოვი. 19 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ მოისმინა საქმე ნამდვილის სტუდენტის ანენკოვისა, რომელსაც თავ. მენშიკოვ-კორევის 50,000 მან. ვექსილების მითვისება ჰბრაოდება. გამოძიებამ ანენკოვის დანაშაულობა არ აღმოაჩინა. ნაფიცმა ვექსილმა დანაშაულობის ფაქტი უარ ჰყვეს და ანენკოვი გაამართლეს.

იკუბსკი. „Восточное Обозрение“-ში დაბეჭდილია: 15 ოქტომბერს ძლიერმა ქარიშხალმა პატარა ზღვაში სამი ბარგის ნაფი მოჰგლიჯა, რომელნიც გემს „Яков“-ს მიჰყავდა. ერთი ნაფი ნაპირზედ გამოაგდა, მეორე მთლელ დაამტვრია, რომელზედაც 170 ანგარები მეფევე-მუშები იყვნენ. ყველანი დაიღუპნენ. იმავე ვახეთში დაბეჭდილია, რომ დიდის თოვლისა და ზნავების გამო სამზავრო მატარებელი ჩინეთის შტოს ონონის საღვურზედ ლიანდაგიდან გადავარდნილა. მომკვდარა ერთი მზნავრი და სასიკვდილოდ დაშავებულნი ფოსტის მოხელე და ფოსტის კაცი. ამათ გარდა 14 მზნავრი კიდევ სხვა დაშავებულა.

ნიუნი-ნოვგოროდი. გემები თავის ბინებზედ მისვლას ეჩქარებინან.

გრივსვალდი. პროფესორებმა და სტუდენტებმა ჩემბერლენის მიერ 12 ოქტომბერს, წარმოთქმულ წიტყვას წინააღმდეგობა განუცხადეს. თავის წინააღმდეგობაში უკმაყოფილებითა და რისხვით უარ ჰყვეს ის შეურაცხყოფა, რომელიც ჩემბერლენმა გერმანიის ხალხს მიაყენა იმითი, რომ 1870—1871 წლ. ომი დღევანდელს ინგლისელების ბურებთან ომს შეადარა.

მარსელი. ნავსაღვურის მუშების კრებაზედ ერთხმად გარდასწყვიტეს ამ სტერდამის ნავთსაღვურის მუშების მოძრაობაში მონაწილეობა მიიღონ, რომელთაც აზრად აქვთ ინგლისის სავაჭრო ხომალდების წინააღმდეგ პირი შეჰკრან.

გაბაბა. ლიედის ხელობად ჰქონდა ბურების დღეფატებთან მოლაპარაკება.

გლაზგო. შავი ქირით ხუთი გახდა ავად.

კონსტანტინოპოლი. როგორც ოფიციალური ცნობები იუწყებიან, ლორანდოს საქმე ფრანგ-ოსმალეთ შორის მორიგებით გაუთავებიათ.

ხარსონი. ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, დღის 5 საათზედ, მთავრის შექზედ, ჰაეროსტატი გამოიჩინა, რომელიც დნებრის მახრიდან ხერსონისაკენ მიფრინავდა.

პეტერბურგი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდის მთავრის მფულლე მარია პავლეს ასული 18 ოქტომბერს სკერნევეცაში წავიდნენ, საიდგანაც სამღვრე გარეთ აპირებენ წასვლას. დიდ მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე 19 ოქტომბერს კავკასიაში წავიდა.